



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
„საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“
წესდება

ქ. თბილისი,
2021 წელი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს მედიატორთა ასოციაციის სამართლებრივი სტატუსი

- 1.1. საქართველოს მედიატორთა ასოციაცია (შემდგომში – ასოციაცია) არის წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს მედიატორთა თვითრეგულირებას და შექმნილია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, განუსაზღვრელი ვადით.
- 1.2. ასოციაციის საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს, პრინციპებსა და სამართლებრივ ფორმას, ასევე საქმიანობის განხორციელების ორგანიზაციულ საკითხებს არეგულირებს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი და ეს წესდება.
- 1.3. ასოციაციის სრული სახელწოდებაა: ქართულად - საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“; ინგლისურად - Legal Entity of Public Law - Mediators Association of Georgia.
- 1.4. ასოციაციაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

მუხლი 2. ასოციაციის ადგილსამყოფელი და მოქმედების არეალი

- 2.1. ასოციაციის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ნუცუბიძის #14ბ, მე-4 სადარბაზო, მე-2 სართული, საფოსტო ინდექსი: 0177.
- 2.2. ასოციაციის ოფიციალური ელ-ფოსტა არის : info@mediators.ge
- 2.3. ასოციაცია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესდებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული მნიშვნელობა, თუ ამ წესდებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ან კონტექსტიდან სხვაგვარად არ გამომდინარეობს.

მუხლი 4. მიზნები

- 4.1. ასოციაციის მიზნებია:
 - 4.1.1. მედიატორის პროფესიის თვითრეგულირება;
 - 4.1.2. მედიაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
 - 4.1.3. მედიატორის პროფესიის განვითარება და პოლიტიკის განსაზღვრა;
 - 4.1.4. მედიაციის სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვა და განვითარება;
 - 4.1.5. მედიატორთა პროფესიული ეთიკის ერთიანი სტანდარტის და დისციპლინური სამართალწარმოების წესის განსაზღვრა და ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა;

- 4.1.6. მედიატორთა უფლებების დაცვა;
- 4.1.7. მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეფექტიანი მექანიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლება საზოგადოებაში.

მუხლი 5. ასოციაციის საქმიანობა

- 5.1. ასოციაცია თავისი მიზნების რეალიზებისათვის ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:
 - 5.1.1. აწარმოებს მედიატორთა ერთიან რეესტრს;
 - 5.1.2. ამტკიცებს მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამას;
 - 5.1.3. განსაზღვრავს სხვა ორგანიზაციების ტრენინგების შესაბამისობას სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ პირობებთან;
 - 5.1.4. განსაზღვრავს იმ საერთაშორისო ან/და უცხოური სასწავლო პროგრამების ჩამონათვალს, რომელთა მიერ შეთავაზებული ან ჩატარებული მედიაციის ტრენინგები მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ პირობებს აკმაყოფილებს;
 - 5.1.5. ორგანიზებას უწევს მედიატორთა სასერტიფიკატო და პროფესიული განგრძობადი განათლების პროგრამების, ასევე მედიაციის შესახებ საგანმანათლებლო კურსების განხორციელებას;
 - 5.1.6. ამტკიცებს მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსს;
 - 5.1.7. ამტკიცებს დისციპლინური სამართალწარმოების წესს და პროფესიული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, უზრუნველყოფს დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებას და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას;
 - 5.1.8. თანამშრომლობს მედიაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში მოქმედ პროფესიულ გაერთიანებებთან;
 - 5.1.9. ახორციელებს ღონისძიებებს და აქტივობებს მედიატორის პროფესიის განვითარებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის;
 - 5.1.10. შეიმუშავებს და აცნობს მედიატორებს მედიაციის სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საქართველოში დანერგვისა და განვითარების შესახებ რეკომენდაციებს;
 - 5.1.11. მონაწილეობს მედიაციასთან დაკავშირებულ კანონშემოქმედებით საქმიანობაში;
 - 5.1.12. ხელს უწყობს საქართველოში ერთგვაროვანი სამედიაციო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
 - 5.1.13. იცავს მედიატორთა უფლებებს;
 - 5.1.14. ორგანიზებას უწევს მედიატორთა სემინარებს, დისკუსიებს, მრგვალ მაგიდებს და სხვა პროექტების განხორციელებას;
 - 5.1.15. ადგენს ასოციაციის წევრობისთვის ფიქსირებულ საწევრო გადასახადს;
 - 5.1.16. უზრუნველყოფს დაფინანსების წყაროების მოძიებას;
 - 5.1.17. მიიღებს და გასცემს გრანტებს.

თავი II. ასოციაციის წევრობა

მუხლი 6. ასოციაციის წევრი

- 6.1. ასოციაციის წევრები არიან მედიატორთა ერთიან რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) რეგისტრირებული მედიატორები.

- 6.2. მედიატორთა ერთიან რეესტრში წერილობითი განცხადების საფუძველზე მედიატორად შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის ნასამართლევნი და მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულების შესაბამისად ფლობს მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემულ სამ საფეხურიანი პროგრამის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტს .
- 6.3. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე. უცხო ქვეყნის მოქალაქის მედიატორად მიღების წინაპირობები განისაზღვრება აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით.
- 6.4. ასოციაციის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები წესრიგდება ამ წესდებით, აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურული წესისა და ასოციაციის უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული დისციპლინური ნორმებით.
- 6.5. რეესტრი ქვეყნდება ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. აღმასრულებელი საბჭოს სამდივნო პასუხისმგებელია რეესტრის მუდმივ განახლებაზე.

მუხლი 7. ასოციაციის წევრად მიღება

- 7.1. ასოციაციაში გაწევრიანებისთვის პირი განცხადებით მიმართავს მედიატორთა ასოციაციას. აღმასრულებელი საბჭო განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის მედიატორთა ასოციაციაში გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ.
- 7.2. ასოციაციაში გაწევრიანებისთვის პირმა განცხადებასთან ერთად ასოციაციის აპარატს უნდა წარუდგინოს:
 - ა) პირადობის მოწმობის ასლი;
 - ბ) მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემული სამ საფეხურიანი პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი
 - გ) ბიოგრაფია (CV);
 - დ) 1 (ერთი) ფოტოსურათი CD დისკზე;
 - ე) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
 - ვ) პირადი ელ-ფოსტა, ტელეფონი, ფაქტობრივი/რეგისტრაციის მისამართი;
 - ზ) საწევრო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი
 - ი) პოზიცია სასამართლო მედიაციის პროგრამაში ჩართვის / ჩართვაზე უარის თქმის თაობაზე

მუხლი 8. წევრის უფლება-მოვალეობები

8.1. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

- 8.1.1. აირჩიოს და არჩეულ იქნას ასოციაციის მართვის ორგანოებში, ასოციაციის ეთიკის კომისიაში;
- 8.1.2. მიიღოს მონაწილეობა ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;
- 8.1.3. მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში;
- 8.1.4. თავისი სურვილით შეიჩეროს წევრობა ან გავიდეს ასოციაციიდან.

8.2. ასოციაციის წევრი ვალდებულია:

- 8.2.1. დაიცვას ასოციაციის წესდება;
- 8.2.2. დაემორჩილოს ასოციაციის მიერ დამტკიცებულ პროფესიული ეთიკის ნორმებს;
- 8.2.3. ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;
- 8.2.4. დროულად და დადგენილი წესით გადაიხადოს საწევრო შენატანი;
- 8.2.5. ასოციაციას გონივრულ ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია მისი საკონტაქტო ინფორმაციის (მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა და ა.შ.) ცვლილების თაობაზე;
- 8.2.6. მოთხოვნის საფუძველზე, ასოციაციას წარუდგინოს დამატებითი მონაცემები „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ან რეესტრის სრულყოფილად წარმოების ინტერესებიდან გამომდინარე.
- 8.2.7. სასამართლო მედიაციის პროგრამაში მონაწილე წევრები ვალდებული არიან სასამართლო მედიაციის პროგრამით განსაზღვრული რაოდენობის საქმეებზე სასამართლო მედიაცია ყოველწლიურად წარმართონ ანაზღაურების გარეშე (Pro Bono).
- 8.2.8. ყოველწლიურად მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განგრძობადი განათლების სავალდებულო პროგრამაში.
- 8.2.9. წესდების 7.2 „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ასოციაციას.

მუხლი 9. წევრობის შეჩერება და შეწყვეტა

9.1. ასოციაციის წევრობა პირს შეიძლება შეუჩერდეს:

- 9.1.1. პირადი განცხადების საფუძველზე;
- 9.1.2. წლიური საწევრო დავალიანების შემთხვევაში;
- 9.1.3. მედიატორთა ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების წესის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.
- 9.1.4. მედიატორი რომელიც უარს იტყვის განახორციელოს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული 8.3. პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- 9.1.5. მედიატორი რომელიც არ განახორციელებს პროფესიული განგრძობადი განათლების სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

9.2. ასოციაციის წევრობა პირს შეიძლება შეუწყდეს:

- 9.2.1. პირადი განცხადების საფუძველზე;
- 9.2.2. თუ დადგენილ ვადაში არ აღმოიფხვრა წესდების 9.1.2, 9.1.4, 9.15 პუნქტებით გათვალისწინებული შეჩერების საფუძველი;
- 9.2.3. მედიატორთა ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების წესის საფუძველზე მიღებული დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით;
- 9.2.4. თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- 9.2.5. თუ იგი სასამართლომ ცნო შეზღუდულ ქმედუნარიანად, ან აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- 9.2.6. თუ პირი გარდაიცვალა.
- 9.3. წევრს, რომელსაც შეუჩერდება ან შეუწყდება ასოციაციის წევრობა, არ აქვს უფლებამოსილება აწარმოოს მედიაცია.
- 9.4. ასოციაციის წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი განისაზღვრება რეესტრში რეგისტრაციის წესით. ამავე წესით განისაზღვრება როგორც წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის შედეგები, ისე წევრობის აღდგენის საფუძველები და პროცედურა.

მუხლი 10. საწევრო გადასახადი

- 10.1. ასოციაციის წევრობისთვის დადგენილი წლიური საწევრო გადასახადის ოდენობა განისაზღვრება საერთო კრების მიერ.
- 10.2. მიმდინარე საწევრო გადასახადის გადახდა უნდა განხორციელდეს მიმდინარე წლის პირველ მარტამდე

თავი III. ასოციაციის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 11. ასოციაციის საქმიანობის ორგანიზება

- 11.1. ასოციაციის მმართველი ორგანოებია ასოციაციის საერთო კრება, ასოციაციის თავმჯდომარე და აღმასრულებელი საბჭო (შემდგომში - საბჭო).
- 11.2. საბჭოს ტექნიკური საქმიანობის ადმინისტრირებასა და ორგანიზაციულ-ანალიტიკურ მხარდაჭერას ახორციელებს ასოციაციის სამდივნო (შემდგომში - სამდივნო) რომელიც არ იღებს რაიმე სახის გადაწყვეტილებას.

მუხლი 12. საერთო კრება

- 12.1. ასოციაციის თითოეულ წევრს უფლება აქვს პირადად მიიღოს მონაწილეობა საერთო კრებაში, გამოთქვას საკუთარი აზრი და მისცეს ხმა.
- 12.2. საერთო კრებაზე ასოციაციის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. საერთო კრების მონაწილეებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე ხმის მიცემა შეიძლება განხორციელონ წერილობით, მექანიკური და ელექტრონული საშუალებებით. ამ საშუალებებით ხმის მიცემის საკითხს და ჩატარების წესს წყვეტს აღმასრულებელი საბჭო.
- 12.3. საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს ასოციაციის თავმჯდომარეს., რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე წესდების 12.5 პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ მოთხოვნილ რიგგარეშე კრების მოწვევას და შემოთავაზებული საკითხების შეტანას დღის წესრიგში.
- 12.4. მორიგი საერთო კრება იმართება წელიწადში ერთხელ, როგორც წესი კალენდარული წლის დეკემბრის თვის შაბათ ან კვირა დღეს კრების თარიღს განსაზღვრავს ასოციაციის თავმჯდომარე აღმასრულებელ საბჭოსთან შეთანხმებით. კრების ჩატარების თარიღი, ადგილი, დრო, დღის წესრიგი და ხმის მიცემის ფორმა, საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე მის ჩატარებამდე სულ მცირე 10 კალენდარული დღით ადრე. კრების მოწვევის შეტყობინება წევრებს ეგზავნება რეესტრში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
- 12.5. რიგგარეშე კრება მოიწვევა აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, თავმჯდომარის ინიციატივით ან ასოციაციის წევრთა არანაკლებ 1/3- ის წერილობითი მოთხოვნით.
- 12.6. თავმჯდომარე ვალდებულია რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში დანიშნოს რიგგარეშე კრების თარიღი. რიგგარეშე კრება უნდა ჩატარდეს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა. ამასთანავე, თავმჯდომარე ვალდებულია კრების დღის წესრიგში შეიტანოს ის საკითხ(ებ)ი, რომლის განხილვასაც ითხოვს რიგგარეშე კრების მოწვევის ინიციატორი.

- 12.7. თუ თავმჯდომარე დადგენილ ვადაში არ მოიწვევს მორიგ ან რიგგარეშე საერთო კრებას ან ასოციაციას არ ჰყავს თავმჯდომარე, კრების მოწვევის ვალდებულება აქვს საბჭოს.
- 12.8. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა უბრალო უმრავლესობა, თუ საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ საერთო კრება ხელახლა მოიწვევა იმავე დღეს, იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით. მეორე საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ არ გამოცხადდება ასოციაციის წევრთა უმრავლესობა.
- 12.9. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.
- 12.10. საერთო კრებას ხელმძღვანელობს ასოციაციის თავმჯდომარე. მისი არყოფნისას საერთო კრებას თავმჯდომარეობს მოვალეობის შემსრულებელი.
- 12.11. საერთო კრებისა და მიღებული გადაწყვეტილებ(ებ)ის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე.
- 12.12. საერთო კრება არ არის უფლებამოსილი გადაწყვეტილება მიიღოს თავის უფლებამოსილებაში შემავალ ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შესაბამისი საერთო კრების დღის წესრიგით.
- 12.13. საერთო კრება, გარდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით ან ამ წესდებით საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებისა, უფლებამოსილია გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:
 - 12.13.1. ასოციაციის წესდების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;
 - 12.13.2. ასოციაციის თავმჯდომარის არჩევა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება;
 - 12.13.3. საბჭოს წევრთა არჩევა;
 - 12.13.4. ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრთა არჩევა;
 - 12.13.5. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;
 - 12.13.6. რეესტრში რეგისტრირებულ მედიატორთა პროფესიული ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების წესის დამტკიცება;
 - 12.13.7. საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცება და მომავალი წლის გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
 - 12.13.8. ასოციაციის ფიქსირებული ოდენობის საწევრო გადასახადის დაწესება.

მუხლი 13. საერთო კრების მიმდინარეობა

- 13.1. ასოციაციის საერთო კრებას ხსნის და უძღვება კრების თავმჯდომარე, რომელიც:
 - 13.1.1. აცხადებს კრებას გახსნილად, აცნობს წევრებს სხდომის რეგლამენტსა და დღის წესრიგს;
 - 13.1.2. უძღვება საკითხის განხილვას, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე სიტყვას აძლევს და ჩამოართმევს გამომსვლელს;
 - 13.1.3. კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
 - 13.1.4. უზრუნველყოფს კრებაზე წესრიგის დაცვას;
 - 13.1.5. ღებულობს ზომებს სხდომაზე წესრიგის შესანარჩუნებლად იმ წევრის მიმართ, რომელიც უხეშად არღვევს რეგლამენტით გათვალისწინებულ წესს ან ხელს უშლის სხდომის მიმდინარეობას;
 - 13.1.6. საჭიროების შემთხვევაში აცხადებს შესვენებას;
 - 13.1.7. ახორციელებს წესდებით და შესაბამისი რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 13.2. კრების თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საკითხის განხილვის მიმდინარეობისას

განხილვაში მონაწილეობენ წევრები. ერთი და იმავე გამომსვლელისათვის რამდენჯერმე სიტყვის მიცემის საკითხს, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, წყვეტს კრების თავმჯდომარე.

- 13.3. კრებაზე საკითხის განხილვა წარმოებს კრების დღის წესრიგით დადგენილი რიგითობის შესაბამისად.
- 13.4. თავმჯდომარე კრებას წარმართავს წესდებითა და არსებობის შემთხვევაში, კრების რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურით.
- 13.5. თუ ასოციაციის წესდება რეგლამენტისგან განსხვავებულ წესს ადგენს, უპირატესობა მიენიჭება ასოციაციის წესდებას.
- 13.6. წევრი, რომელიც რეგისტრაციის გავლის შემდეგ დატოვებს შენობას, კრებაზე დაიშვება მხოლოდ მანდატის წარმოდგენის საფუძველზე.
- 13.7. კრებაზე არ დაიშვებიან რეგისტრაციის დასრულების შემდგომ გამოცხადებული წევრები.
- 13.8. კრებას საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შეიძლება დაესწრონ დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ მოვლენილი დამკვირვებლები ან პირები სტუმრის სტატუსით წინასწარი წერილობითი მომართვის საფუძველზე კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა. კრებას შეიძლება დაესწრონ დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე სტუმრის სტატუსის მქონე პირები.

მუხლი 14. კრების საორგანიზაციო კომისია

- 14.1. საორგანიზაციო კომისია უზრუნველყოფს საერთო კრებაზე წევრთა რეგისტრაციასა და რეგლამენტითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებას.
- 14.2. საორგანიზაციო კომისია შედგება 3 წევრისგან რომლის შემადგენლობას და თავმჯდომარეს ნიშნავს მართველ საბჭო კრების თარიღის განსაზღვრის დროს. საორგანიზაციო კომისიის უფლებამოსილება წყდება კრების დასრულებისთანავე. საორგანიზაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ასოციაციის რეესტრში რეგისტრირებული მედიატორი ან/და ასოციაციის თანამშრომელი
- 14.3. საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარეს ასოციაციის თავმჯდომარე კრების დღეს გადასცემს ბეჭდით დამოწმებულ მანდატებს და დალუქულ ბიულეტენებს, რაზედაც დგება შესაბამისი ოქმი მხარეთა ხელმოწერებით.
- 14.4. საორგანიზაციო კომისიის წევრები ამოწმებენ წევრთა ვინაობას მოქალაქის პასპორტში, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ან მართვის მოწმობაში ასახული მონაცემების რეესტრის ჩანაწერთან შედარების მეშვეობით. წევრი, მის მიერ სარეგისტრაციო სიაში ხელმოწერით, ხოლო საორგანიზაციო კომისიის წარმომადგენელი მანდატზე ხელმოწერით, ადასტურებენ წევრის კრებაზე მონაწილეობის უფლებას. წევრს გადაეცემა ასოციაციის ბეჭდით დამოწმებული მანდატი, რომელზეც მითითებულია კრების თარიღი.
- 14.5. საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე გადასცემს ბიულეტენებს ხმის დამთვლელ კომისიის თავმჯდომარეს დამსწრე წევრთა რაოდენობის მიხედვით, რის შესახებაც დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ორივე თავმჯდომარე.

მუხლი 15. კრების ხმის დამთვლელი კომისია

- 15.1. კრების დაწყებისთანავე ხმის დამთვლელ კომისიას 3 წევრის შემადგენლობით ღია

კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს კრება საკუთარი შემადგენლობიდან. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა ასარჩევ წევრთა რაოდენობას აღემატება, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა შორის. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კრებაზე დამსწრე ნებისმიერ წევრს. ხმის დამთვლელი კომისიის უფლებამოსილება წყდება კრების დასრულებისთანავე. კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს.

- 15.2. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე, სხვა წევრებთან ერთად ხელს აწერს კენჭისყრის შედეგების ოქმს და შედეგებს მოახსენებს კრებას. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შედეგების ოქმზე ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

მუხლი 16. ღია კენჭისყრის წესი

- 16.1. ხმის დამთვლელი კომისია, ხოლო მის არჩევამდე საორგანიზაციო კომისია, ღია კენჭისყრის დროს ვალდებულია დაითვალოს მიღებული ხმები, რომლებიც კომისიის მიერ შეჯამდება და მოხსენდება კრებას.
- 16.2. ღია კენჭისყრის დროს პირველად ცხადდება საკითხს ვინ უჭერს მხარს, შემდეგ ვინ არის წინააღმდეგი და ბოლოს თავი ვინ შეიკავა. ღია კენჭისყრის დროს პირველ რიგში ცხადდება ინფორმაცია საკითხის მხარდამჭერ პირთა რაოდენობის შესახებ, შემდეგ - მოწინააღმდეგეთა შესახებ, და ბოლოს, იმ პირთა თაობაზე, რომლებმაც თავი შეიკავეს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

მუხლი 17. ფარული კენჭისყრის წესი

- 17.1. ფარული კენჭისყრისთვის ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს დღის წესრიგით გათვალისწინებული ორგანოების წევრთა არჩევისთვის საჭირო ბიულეტენების მომზადებას, რომელზეც დატანილია ასარჩევი კანდიდატების სახელები და გვარები.
- 17.2. ხმის დამთვლელი კომისია, კრების თავმჯდომარის მიერ გამოცხადებული ტექნიკური შესვენებისას, წევრებს გადასცემს ბიულეტენებს ფარული კენჭისყრისათვის. ბიულეტენის მიღება და გაცემა დასტურდება წევრის მიერ შესაბამის სიაში ხელმოწერითა და ხმის დამთვლელი კომისიის წარმომადგენლის მიერ ბიულეტენის შესაბამის გრაფაში ხელმოწერით.
- 17.3. ბიულეტენების დარიგებისთანავე, საორგანიზაციო კომისია ხმის დამთვლელი კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ ითვლის დარჩენილ ბიულეტენებს, რომლებიც გადაიხაზება ლათინური ნიშნით - Z. გაცემული ბიულეტენების რიცხვი უნდა ემთხვეოდეს კრებაზე რეგისტრირებული წევრების რაოდენობას. ბიულეტენების გაცემის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც მიეთითება გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა. ოქმს ხელს აწერს საორგანიზაციო კომისიის ყველა წევრი და ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.
- 17.4. ხმის მიცემის პროცედურის დაწყების შემდეგ, წევრები ბიულეტენებს ათავსებენ გამჭვირვალე საარჩევნო ყუთში. საარჩევნო ყუთი ხმის მიცემამდე უნდა იყოს დალუქული და მასზე პასუხისმგებელია ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.

- 17.5. საარჩევნო ყუთთან ხმის მიცემის დროს მუდმივად უნდა იმყოფებოდეს ხმის დამთვლელი კომისიის სულ მცირე ორი წევრი.
- 17.6. ხმის მიცემის დასრულებისთანავე, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ლუქავს საარჩევნო ყუთს. ხმის დამთვლელი კომისია უზრუნველყოფს ხმების დათვლას და ადგენს ოქმს. კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და ბათილი ბიულეტენების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს კრებაზე დარეგისტრირებულ წევრთა რაოდენობას. ოქმს ხელს აწერს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე სხვა წევრებთან ერთად და გამოსაცხადებლად გადასცემს კრების თავმჯდომარეს.

მუხლი 18. საბჭო

- 18.1. საბჭო არის მართვის განმახორციელებელი კოლეგიური ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ასოციაციის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს, მიზნებსა და სტრატეგიას.
- 18.2. საბჭო შედგება 8 წევრისაგან. საბჭოს წევრს 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრება მედიატორთა ასოციაციის სიითი შემადგენლობიდან. არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებენ. კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, თუ მათი რაოდენობა საარჩევ წევრთა რაოდენობას აღემატება, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა შორის. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.
- 18.3. ყველა კანდიდატს ერთიანად ეყრება კენჭი. საბჭოს წევრებისთვის ხმის მიცემის დროს, საერთო კრების წევრს შეუძლია მხარი დაუჭიროს არჩევნებში მონაწილე არაუმეტეს საარჩევნო კანდიდატების რაოდენობას.
- 18.4. ერთი და იმავე პირის საბჭოს წევრად არჩევა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. საბჭოს წევრთა უფლებამოსილება გრძელდება ახალი წევრების არჩევამდე.
- 18.5. უფლებამოსილების ვადის გასვლამდე საბჭოს წევრის გადადგომის, აგრეთვე ასოციაციის წევრობის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, საბჭოს ახალი წევრი აირჩევა უახლოეს საერთო კრებაზე.
- 18.6. საბჭოს წევრობის მსურველმა პირმა საერთო კრებამდე სულ მცირე 7 კალენდარული დღით ადრე პირადად ან ელექტრონული ფორმით განცხადებით უნდა მიმართოს ასოციაციის სამდივნოს კანდიდატურის დასარეგისტრირებლად.
- 18.7. ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად (ex officio) არის საბჭოს წევრი და ხელმძღვანელობს მას. იგი ასევე თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს და წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს წევრთა უმრავლესობის მიერ არჩეული წევრი.
- 18.8. საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ. საბჭოს სხდომის მოწვევა შეუძლია თავმჯდომარეს და საბჭოს წევრთა არანაკლებ ნახევარს, ასოციაციის თავმჯდომარისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
- 18.9. საბჭოს წევრებს სხდომაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. საბჭოს წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები უნდა გაეგზავნოთ სხდომამდე 3 დღით ადრე. საბჭოს სხდომა არ გაიმართება, თუ ყველა წევრი წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.
- 18.10. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარი. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების

უმრავლესობით. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბრად გაყოფისას, გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

- 18.11. საბჭოს სხდომის მიმდინარეობის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 19. აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციები

- 19.1. ასოციაციის კოლეგიური წესით მართვა;
- 19.2. წლიური საქმიანობის გეგმების, პროექტებისა და ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;
- 19.3. ასოციაციის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- 19.4. რეესტრის წარმოება;
- 19.5. რეესტრში რეგისტრაციის წესის დამტკიცება;
- 19.6. ასოციაციის სამტატო ნუსხის დამტკიცება;
- 19.7. მედიატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება;
- 19.8. მედიაციის სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის საქართველოში დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და მედიატორებისათვის გაცნობა;
- 19.9. მედიაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- 19.10. ტრენინგის აკრედიტაციის გაცემის წესის დამტკიცება;
- 19.11. ორგანიზაციის მოთხოვნით, მის მიერ შეთავაზებული მედიაციის ტრენინგის სტანდარტის შემოწმება და ასოციაციის სერტიფიცირების პროგრამით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ტრენინგზე აკრედიტაციის გაცემა;
- 19.12. იმ საერთაშორისო პროგრამების ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელთა მიერ შეთავაზებული ან ჩატარებული მედიაციის ტრენინგები მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ პირობებს აკმაყოფილებს;
- 19.13. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისთვის, მედიატორის დანიშვნის წესის განსაზღვრა;
- 19.14. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა;
- 19.15. მედიატორის უფლებების დაცვა;
- 19.16. სასამართლო მედიაციის განვითარებისა და მედიაციის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და მედიატორთა ასოციაციის საერთო კრებისათვის წარდგენა;
- 19.17. საერთო კრებისა და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულება;
- 19.18. ასოციაციის წევრის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- 19.19. ასოციაციის მიერ სესხის აღებისა და სესხის უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- 19.20. ყოველი მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე შეიმუშავებს და ამტკიცებს მიმდევრო კალენდარული წლის მედიატორთა პროფესიული განგრძობადი განათლების სავალდებულო პროგრამას.
- 19.21. ამ წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.

- 19.22. საბჭოს წევრთა საქმიანობა არ ანაზღაურდება.
- 19.23. საბჭო უფლებამოსილია შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები ასოციაციის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე. ამ სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ როგორც ასოციაციის წევრები, ისე სხვა პირები (ექსპერტები, სპეციალისტები). დროებით სამუშაო ჯგუფებს კოორდინაციას უწევს სამდივნო.
- 19.24. წესდების 9.1.2, 9.1.4 და 9.1.5 პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით მედიატორის სტატუსის შეჩერებისას დაადგინოს შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის ვადა.
- 19.25. დაადგინოს ასოციაციის საერთო კრებაზე გარეშე პირების დასწრების წესი.

მუხლი 20. ასოციაციის თავმჯდომარე

- 20.1. ასოციაციის თავმჯდომარეს ასოციაციის წევრთაგან „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრება. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კრებაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობას. თავმჯდომარეობის მსურველმა პირმა პირადად წერილობით ან ელექტრონული ფორმით საერთო კრებამდე სულ მცირე 7 კალენდარული დღით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს ასოციაციის სამდივნოს კანდიდატურის დასარეგისტრირებლად. განცხადება უნდა შეიცავდეს კანდიდატის სახელს და გვარს, ასოციაციის წევრის სიით ნომერს, ფაქტობრივ მისამართს და საკონტაქტო ნომერს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს კანდიდატის ავტობიოგრაფია. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საკმარისი რაოდენობა, 14 დღის განმავლობაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა უკეთესი შედეგის მქონე პირველ ორ კანდიდატს შორის. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს მეორე კანდიდატზე მეტ ხმას.
- 20.2. ერთი და იმავე პირის თავმჯდომარედ არჩევა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის უფლებამოსილება გრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.
- 20.3. ერთი კრების ფარგლებში დაუშვებელია კანდიდატურის წარდგენა წესდებით გათვალისწინებულ რამდენიმე თანამდებობაზე ასარჩევად.
- 20.4. ასოციაციის თავმჯდომარე ამავდროულად არის საბჭოს თავმჯდომარე.
- 20.5. ასოციაციის თავმჯდომარე ასოციაციის წევრთა გადაწყვეტილებების ფარგლებში ასოციაციის სახელით დამოუკიდებლად მოქმედებს და:
 - 20.5.1. წარმართავს ასოციაციის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;
 - 20.5.2. წარმოადგენს ასოციაციას სასამართლოში, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში;
 - 20.5.3. აღმსარულებელი საბჭოს თანხმობით, მართავს და განკარგავს ასოციაციის ქონებას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე;
 - 20.5.4. იწვევს და უძღვება ასოციაციის საერთო კრებას;
 - 20.5.5. ორგანიზებას უკეთებს საბჭოსა და საერთო კრების სხდომების დღის წესრიგის განსაზღვრასა და გაცნობას;
 - 20.5.6. საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით და საშტატო განრიგის შესაბამისად სამსახურში იღებს და ათავისუფლებს ასოციაციის თანამშრომლებს და სხვა დაქირავებულ პირებს;
 - 20.5.7. კოორდინაციას უწევს პროგრამებისა და პროექტების შედგენას და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;
 - 20.5.8. ასოციაციის სახელით დებს გარიგებებს;
 - 20.5.9. ადგენს და საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის ბიუჯეტის პროექტს;

- 20.5.10. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და წესდებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს;
- 20.5.11. ასრულებს კანონმდებლობითა და წესდებით დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.
- 20.6. ასოციაციის თავმჯდომარე ასოციაციის საქმეებს უძღვება საბჭოსთან ერთად და აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე.
- 20.7. ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
- 20.8. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა;
- 20.9. ამ წესდების შესაბამისად წევრობის შეჩერება ან შეწყვეტა;
- 20.10. პირადი განცხადება.
- 20.11. თავმჯდომარის დროებით არყოფნისას საბჭო თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს.
- 20.12. თავმჯდომარის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ინიშნება რიგგარეშე საერთო კრება, რომელიც მოიწვევა ამ წესდებით დადგენილი წესით. ახალი თავმჯდომარის არჩევამდე მის მოვალეობას ასრულებს საბჭოს მიერ საკუთარი შემადგენლობიდან არჩეული წევრი.
- 20.13. თავმჯდომარის ანაზღაურებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის წესი და ოდენობა განისაზღვრება საბჭოს მიერ.

მუხლი 21. სამდივნო

- 21.1. ასოციაციის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საბჭოს სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. თავმჯდომარე სამდივნოს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს წინამდებარე წესდების 20.6.6. პუნქტის შესაბამისად. სამდივნოს უფროსი შეიძლება იყოს ასოციაციის წევრი ან ნებისმიერი პირი.
- 21.2. სამდივნოს საქმიანობა განისაზღვრება მისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საბჭო.

მუხლი 22. ეთიკის კომისია

- 22.1. მედიატორთა ეთიკის ერთიანი სტანდარტის ერთგვაროვან გამოყენებაზე, აგრეთვე მისი დარღვევის შემთხვევაში, მედიატორის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უფლებამოსილია მედიატორთა ეთიკის კომისია.
- 22.2. ეთიკის კომისია შედგება 9 წევრისგან, რომლებიც აირჩევა საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით საბჭოს წევრთა არჩევისათვის დადგენილი წესით.
- 22.3. ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს მედიატორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით.

მუხლი 23. ასოციაციის ფინანსები

- 23.1. მედიატორთა ასოციაციის დაფინანსების წყაროებია:
 - 23.1.1. ასოციაციის საწევრო გადასახადი;

- 23.1.2. გრანტები და შემოწირულობები;
- 23.1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- 23.1.4. ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- 23.1.5. მედიატორთა ასოციაციის საქმიანობიდან მიღებული საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 24. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

- 24.1. ასოციაციის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 24.2. ასოციაციის დარჩენილი ქონების განაწილების წესი განისაზღვრება ასოციაციის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ შესაბამისი აქტით.

თავი IV. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 25. წესდების ამოქმედება

- 25.1. ამ წესდებას ხელს აწერს ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც პასუხისმგებელია კრების მიერ დამტკიცებული წესდებისა და ხელმოწერილი წესდების ტექსტების იდენტურობაზე.
- 25.2. ეს წესდება ძალაშია საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე.

ასოციაციის თავმჯდომარე
